

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №3/6

2007 წ. 18 იანვარი

ქ. თბილისი

“საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 63-ე და 95-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის 2006 წლის 28 ნოემბრის დასკვნის შესაბამისად:

1. “საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 27.04.2006წ. №9; ნაწ. IV; გვ.49) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და ბრძანების დანართის „რიგითი ნომერი №1080 (ქართული კათოლიკური ეკლესია, XIX ს. 50-ანი წლები, ვ. ვარლამიშვილის ქუჩა) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1080	ღვთისმშობლის ხარების მართლმადიდებლური ეკლესია (ყოფილი ქართული კათოლიკური ეკლესია)	1856 წ.	ქ. ქუთაისი ვ. ვარლამიშვილის ქუჩა
------	---	---------	-------------------------------------

2. ბრძანება გამოქვეყნდეს, საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნების დღიდან.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი დავით სარაჯიშვილის ქუჩა №1^ა)

მინისტრი

გ. გაბაშვილი